

ცვლილება ძალაშია 2020 წლის 01 ივლისიდან.

ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ „საბანკო მომსახურების პირობებში“ შევიდა შემდეგი ცვლილება:

1. შეიცავლოს „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-7 მუხლის 25-ე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„25. 2020 წლის 1 ივლისიდან, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ყველა ფიზიკური პირის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 15,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში ყველა ფიზიკური პირის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge.“

2. „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ბანკი უფლებამოსილია, ბანკში დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად, შეანაბრეს შემნახველ ანაბარზე შესთავაზოს სტანდარტული საპროცენტო განაკვეთისგან განსხვავებული ინდივიდუალური საპროცენტო განაკვეთი. ამასთან, შემნახველ ანაბარზე ბანკის მიერ სტანდარტული საპროცენტო განაკვეთის ცვლილება (გაზრდა ან შემცირება), გავლენას არ მოახდენს შეანაბრესთან ინდივიდუალურად შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთის/სარგებლის მოცულობასა და ოდენობაზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხსენებული ცვლილებები შესაძლებელია შეეხოს, როგორც პირთა გარკვეულ ჯგუფს, ისე კონკრეტულ პირს ინდივიდუალურად. აღნიშნული არ ზღუდავს ბანკს, ნებისმიერ დროს, წინამდებარე პირობებით განსაზღვრული წესების შესაბამისად, შეცვალოს კლიენტთან ინდივიდუალურად შეთანხმებული არასტანდარტული საპროცენტო განაკვეთი.“

3. „საბანკო მომსახურების პირობების“ მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 7¹ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7¹. თუ საბავშვო ანაბარზე განთავსებული თანხის ოდენობა აღემატება 1 000 (ერთი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს უცხოურ ვალუტაში, კანონიერი წარმომადგენელის მიერ ანაბრის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა/განკარგვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი თანხმობის საფუძველზე.“ *(ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან)*